<u>დანართი №3</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის
საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებანი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (შემდგომში - უსკო) საარჩევნო პროცესების მართვის სამსახური არის უსკოს აპარატის სტრუქტურული ერთეული, რომლის ძირითადი მიზნებია არჩევნების ეფექტურად ორგანიზებისა და ჩატარების ხელშეწყობა, საარჩევნო კომისიებთან ურთიერთობა და საარჩევნო ინფორმაციის მართვა.

2. საარჩევნო პროცესების მართვის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კონსტიტუციური კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების, უსკოს რეგლამენტის, ამ დებულებისა და სამუშაოთა აღწერილობების შესაბამისად.

2. საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურის ძირითადი ფუნქციები და ამოცანები

საარჩევნო პროცესების მართვის სამსახური:

ა) კოორდინაციას უწევს და უსკოს აწვდის ინფორმაციას ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მუშაობის შესახებ;

ბ) ამზადებს პასუხებს კომისიაში შემოსულ, მის კომპეტენციაში შემავალ წერილებსა და განცხადებებზე და წარუდგენს მათ კომისიის თავმჯდომარეს.

გ) აგროვებს ინფორმაციას ქვემდგომი კომისიების შემადგენლობებსა და მათში ცვლილებების შესახებ;

დ) იღებს ინფორმაციას საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობისა და საარჩევნო ოლქებისა და უბნების საზღვრების შესახებ;

ე) ახორციელებს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ინვენტარის, მატერიალურ ფასეულობათა, ბიულეტენების, ინსტრუქციების, სხვადასხვა სახის მასალების, ადგილებზე დროულად მიწოდების ღონისძიებებს. პასუხისმგებელია საოლქო საარჩევნო კომისიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობაზე.

ვ) იღებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს და მათ ხელთ არსებულ სხვა დოკუმენტაციას ქვემდგომი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის ან კომისიის მიერ უფლებამოსილი პირისაგან და გადასცემს უსკოს შესაბამის სამსახურს რეგისტრაციისა და შენახვისათვის.

ზ) უზრუნველყოფს ქვემდგომ საარჩევნო კომისიებთან საკომუნიკაციო საშუალებებს;

თ) აცნობებს ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს უსკოს მიერ მიღებული აქტების შესახებ;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს უსკოს სხდომებზე განსახილველი დადგენილებების ან/და განკარგულებების პროექტებს;

კ) საფინანსო საბიუჯეტო სამსახურთან ერთად მონაწილეობს არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო დაფინანსების დაგეგმვაში;

ლ) ადგენს და საფინანსო საბიუჯეტო სამსახურს გადასცემს ინფორმაციას არჩევნების ჩასატარებლად საჭირო საარჩევნო ინვენტარისა და სხვადასხვა საარჩევნო დოკუმენტაციის რაოდენობის შესახებ;

მ) იურიდიულ და სხვა სამსახურებთან ერთად მონაწილეობს საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის შედგენაში;

ნ) აგროვებს და აწვდის უსკოს იურიდიულ სამსახურს ქვემდგომ საარჩევნო კომისიებში შემოსულ საჩივრებისა და სასამართლო დავების შესახებ საჭირო ინფორმაციას;

ო) ასრულებს სხავა მოვალეობებს.

3. საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსის და III კატეგორიის უფროსი სპეციალისტისაგან.

2. სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა განსაზღვრულია უსკოს მიერ დამტკიცებული საშტატო ნუსხითა და უსკოს თავმჯდომარის შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

3. საარჩევნო პერიოდში სამსახური შედგება სამსახურის უფროსის, III კატეგორიის უფროსი სპეციალისტისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილების მქონე თანამშრომლებისაგან.

4. საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი

1. ხელმძღვანელობს უსკოს საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურს, არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე და ახორციელებს კანონმდებლობით, უსკოს რეგლამენტით, ამ დებულებით და სამუშაოთა აღწერილობით მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

2. საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება უსკოს თავმჯდომარის მიერ.

3. საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია და პასუხისმგებელია უსკოს თავმჯდომარის წინაშე.

4. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, უსკოს თავმჯდომარის ბრძანებით, სამსახურის უფროსის მოვალეობას ასრულებს უსკოს სხვა სამსახურის ხელმძღვანელი ან ამავე სამსახურის ერთ-ერთი სპეციალისტი.

5. საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურის უფროსის უფლებამოსილებები

სამსახურის უფროსი:

ა) ასრულებს უსკოს თავმჯდომარისა და ხელმძღვანელი პირების იმ დავალებებს, რომლებიც შედის სამსახურის კომპეტენციაში;

ბ) კოორდინაციას და მეთოდურ დახმარებას უწევს ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს;

გ) ამოწმებს ინფორმაციას საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ ასევე საარჩევნო ოლქებისა და უბნების საზღვრებში ცვლილების შესახებ;

დ) ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს აცნობებს ინფორმაციას უსკოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. ელექტრონული ან მატერიალური ფორმით გადასცემს მათ უსკოს მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებს;

ე) აწვდის მის ხელთ არსებულ ინფორმაციას უსკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უსკოს ვებგვერდზე განსათავსებლად;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს უსკოს სხდომაზე განსახილველი დადგენილებების ან/და განკარგულებების პროექტებს;

ზ) ამზადებს პასუხებს კომისიაში შემოსულ, მის კომპეტენციაში შემავალ წერილებსა და განცხადებებზე;

თ) საფინანსო საბიუჯეტო სამსახურთან ერთად ადგენს არჩევნების მოსამზადებლად და ჩასატარებლად საჭირო დაფინანსების გეგმას;

ი) იურიდიულ სამსახურთან ერთად ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის პროექტს;

კ) ქვემდგომი საარჩევნო კომისიებისაგან მიღებულ შემაჯამებელ ოქმებს და სხვა დოკუმენტაციას შესანახად გადასცემს საოქმო სარეგისტრაციო სამსახურს;

ლ) ხელს აწერს ან ვიზას ადებს სამსახურის მიერ მომზადებულ დოკუმენტებს;

მ) შუამდგომლობს უსკოს თავმჯდომარის წინაშე სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გამოყოფის შესახებ;

ნ) ასრულებს კანონით გათვალისწინებულ სხვა მოვალეობებს.

6. საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

1. საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (შემდგომოში სპეციალისტი) არის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე, რომელიც ახორციელებს კანონმდებლობით, უსკოს რეგლამენტით და სამუშაოთა აღწერილობით მასზე დაკისრებულ ამოცანებს.

2. საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება უსკოს თავმჯდომარის მიერ.

3. საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი არის უსკოს თავმჯდომარის და სამსახურის უფროსის წინაშე.

7. საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტის უფლებამოსილებები

III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი:

ა) ასრულებს სამსახურის უფროსის დავალებებს;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს წერილებს;

გ) ამუშავებს ყოველდღიურ დოკუმენტურ ინფორმაციას;

დ) ახდენს სამსახურში შემოსული და სხვადასხვა უწყებებში გასაგზავნი კორესპოდენციის დამუშავებას;

ე) აგროვებს ქვემდგომ საარჩევნო კომისიებში შემოსულ საჩივრებისა და სასამართლო დავების შესახებ საჭირო ინფორმაციას;

ვ) აგროვებს საარჩევნო კომისიებში არჩეულ წევრთა შესახებ ინფორმაციებს;

ზ) ელექტრონული ფოსტით ღებულობს და აგზავნის საჭირო ინფორმაციას;

თ) აწვდის საოლქო საარჩევნო კომისიებს არჩევნებთან დაკავშირებით უსკოს და ხელმძღვანელ პირთა მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებს;

ი) ასრულებს სხვა მოვალეობებს.

8. დასკვნითი დებულებები

1. საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურის დებულებას ამტკიცებს უსკო განკარგულებით.

2. ამ დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უსკოს განკარგულებით.

3. საარჩევნო პროცესების მართვის სამსახურის რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.